ზოგადი უნარების ტესტი

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან.

თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 35 წუთი.

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შევუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

1. ჭინჭარი : მედუზა

(ა) ქვიშა

(ბ) ალოე

(გ) ეკალი

(დ) უდაბნო

(ე) ზღარბი

კაქტუსი :

2. ექსპანსია : გაფართოება

(ა) შეგუება

(ბ) ზეგავლენა

(გ) დამსგავსება

(დ) ინტერვენცია

(ე) იდენტიფიკაცია

ასიმილაცია :

3. გაფილტრული : გაცრილი **დაღვრილი :**

(ა) დასხმული

(ბ) დაცლილი

(გ) დაფანტული

(დ) დაწვეთებული

(ე) დაქუცმაცებული

4. სპექტაკლი : გარდასახვა **ევოლუცია :**

(ა) ეკოლოგიური ნიშა

(ბ) გარემოსთან ადაპტირება

(გ) ეკოსისტემის შენარჩუნება

(დ) სახეობათა მრავალფეროვნება

(ე) გავრცელების არეალი

5. თარგმნა : ლექსიკონი

ხატვა :

(ა) ფერი

(ბ) სურათი

(გ) საღებავი

(დ) პალიტრა

(ე) აკვარელი

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

6. დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა წარმომადგენლები დიალოგის დროს მოსაუბრესთან სხვადასხვა დისტანციას ირჩევენ. მაგალითად, ინგლისელები თავს უფრო კარგად იმ შემთხვევაში გრძნობენ, თუ საუბრისას მათ შორის საკმაოდ ------ , ხოლო არაბები – უფრო ------ მანძილს ანიჭებენ უპირატესობას. ------ მათი ურთიერთობისას ხშირად შეიძლება დაინახოთ, თუ როგორ ------ დისტანცია მოსაუბრესთან, ეს უკანასკნელი კი ამის საშუალებას არ აძლევს და ------ , რათა მისთვის მოსახერხებელი მანძილი შეარჩიოს.

(ა) დიდი მანძილია / მცირე / ამიტომ / იხევს უკან ინგლისელი, რათა გაზარდოს / წინ მიიწევს

(ბ) მცირე მანძილია / დიდ / მართლაც, / მიიწევს წინ არაბი, რათა შეამციროს / უკან იხევს

(გ) დიდი მანძილია / მცირე / მიუხედავად ამისა, / მიიწევს წინ არაბი, რათა შეამციროს / უკან იხევს

(დ) მცირე მანძილია / დიდ / შესაბამისად, / იხევს უკან ინგლისელი, რათა გაზარდოს / წინ მიიწევს

7. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი, რომელიც ცოცხალ და არაცოცხალ საგნებს ------ , გარემოსთან ურთიერთქმედების უნარია. ქვა დარტყმას ------ . თუ მისი გამძლეობა დარტყმის ძალაზე ------ ; წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნამსხვრევებად იქცევა. ქვა ------ , პასუხად ისე მოიქცეს, რომ თავი შეინარჩუნოს, ------ , მისკენ მიმართული ძალა მისივე არსებობისთვის ხელსაყრელ ფაქტორად გარდაქმნას.

(ა) ერთმანეთისგან განასხვავებს / ეწინააღმდეგება / ნაკლებია, ის იცვლება / „ცდილობს“ / ამასთანავე, შეუძლია

(ბ) ერთმანეთის მსგავსი აქვთ / ეწინააღმდეგება / მეტია, ის უცვლელი რჩება / „არ ცდილობს“ / მეტიც, შეუძლია

(გ) ერთმანეთისგან განასხვავებს / არ ეწინააღმდეგება / მეტია, ის უცვლელი რჩება / „არ ცდილობს“ / მით უმეტეს, არ შეუძლია

(დ) ერთმანეთის მსგავსი აქვთ / არ ეწინააღმდეგება / ნაკლებია, ის იცვლება / „ცდილობს“ / მით უმეტეს, არ შეუძლია

8. სიბრძნე ესაა უნარი, ------ ამა თუ იმ ------ შედეგები, ესაა მზაობა, ------ სარგებელი ------ სანაცვლოდ.

(ა) გამოავლინო / ქმედების დაფარული / არ დათმო პოტენციური / მოსალოდნელი კეთილდღეობის

(ბ) წინასწარ განჭვრიტო / ქმედებით მიღწეული / არ დათმო მოსალოდნელი / რეალური, ამწუთიერი კეთილდღეობის

(გ) იწინასწარმეტყველო / ქმედების შორეული / დათმო ამწუთიერი / მოსალოდნელი სასიკეთო საქმეების

(დ) განჭვრიტო / ქმედების შორეული / დათმო ამწუთიერი / არარეალური კეთილშობილური დაპირებების

9. ინჟინერი მთავარი ფიგურაა მატერიალურ პროგრესში. ის ------ იმით, რომ ხელსაწყოებად, რესურსებად, ენერგიად გარდაქმნის მეცნიერულ ცოდნას. ამის მისაღწევად ინჟინერს ------ სჭირდება: პირველი აუცილებელია, რათა მან ------ , ხოლო მეორე – რათა თავისი იდეების ------ .

(ა) თეორიულად ასაბუთებს გამოყენებითი მეცნიერების მიღწევებს / ძლიერი წარმოსახვა და დიდი სიფრთხილე / ახალი შესაძლებლობები განჭვრიტოს / მიხედვით სინამდვილის გადაკეთება არ სცადოს

(ბ) დაგვანახებს მეცნიერების პრაქტიკულ ღირებულებას / დიდი ცოდნა და დიდი სიფრთხილე / პრაქტიკული ამოცანები მეცნიერულ თეორიებზე წინ არ დააყენოს / მიხედვით სინამდვილის გადაკეთება სცადოს

(გ) აძლევს ბიძგს მეცნიერული ცოდნის საზღვრების გაფართოებას / ძლიერი წარმოსახვა და დიდი სიფრთხილე / პრაქტიკული ამოცანები თეორიულ ცოდნაზე წინ არ დააყენოს / რეალობაში განხორციელება შეძლოს

(დ) აქცევს სინამდვილედ მეცნიერების პოტენციურ ღირებულებას / ძლიერი წარმოსახვა და დიდი ცოდნა / დროის მოთხოვნები ამოიცნოს და ახალი შესაძლებლობები განჭვრიტოს / რეალობაში განხორციელება შეძლოს

10. ადამიანთა ყოფას ფილოსოფიურად თუ შევხედავთ, არაფერი გამოჩნდება ------ ის, თუ რა ------ უამრავ ადამიანს მხოლოდ რამდენიმე კაცი მართავდეს. ------ , თუ ამ საკითხს ღრმად ჩავეძიებით, ვნახავთ, რომ ფიზიკური ძალა ყოველთვის ------ ერთადერთი საყრდენი კი იდეოლოგიაა.

(ა) უფრო უცნაური, ვიდრე / იოლად შეიძლება, / თანაც / მართულთა მხარესაა, მმართველთა

(ბ) ისეთი ბუნებრივი, როგორც / ძნელია, რომ / თანაც / მმართველთა მხარესაა, მართულთა

(გ) უფრო უცნაური, ვიდრე / ძნელია, რომ / თუმცა / მართულთა მხარესაა, მმართველთა

(დ) ისეთი ბუნებრივი, როგორც / იოლად შეიძლება, / თუმცა / მმართველთა მხარესაა, მართულთა

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

11. ფსიქოლოგები იკვლევდნენ ერთ-ერთი ორგანიზაციის თანამშრომელთა პიროვნულ მახასიათებლებს და მათ კავშირს ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა ასაკი, სქესი, განათლება, სტაჟი და ა. შ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ **რაც უფრო მეტია თანამშრომელთა დასაქმების ხანგრძლივობა (სტაჟი), მით უფრო ნაკლებად იჩენენ ისინი ინიციატივას მუშაობის პროცესში.**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლით შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი?

(ა) მუშაობის პროცესში ინიციატივის გამოჩენას ხელს უწყობს გამოცდილება, რომელსაც ადამიანი იძენს ამა თუ იმ სფეროში ხანგრძლივად მუშაობის შემთხვევაში.

(ბ) დამწყები თანამშრომლები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი კარიერული ზრდით, ვიდრე დიდი სტაჟის მქონენი, რომლებისთვისაც კარიერული წინსვლა არ არის წამყვანი ღირებულება.

(გ) ამა თუ იმ სიტუაციაში ინიციატივის გამოჩენის უნარი სტაბილური პიროვნული მახასიათებელია და ნაკლებად იცვლება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით, როგორებიცაა განათლება, სტაჟი და სხვა.

(დ) სამუშაო გამოცდილების დაგროვებასთან ერთად მატულობს თანამშრომელთა პროფესიული თვითდაჯერებულობა, ხოლო კვლევებით დადგენილია, რომ ინიციატივას, უმეტესად, თვითდაჯერებული ადამიანები იჩენენ.

(ე) ორგანიზაციაში, რომელშიც კვლევა ჩატარდა, თანამშრომელთა ფინანსური წახალისების ერთ-ერთი კრიტერიუმი მუშაობის პროცესში ინიციატივის გამოჩენაა.

12. მაკას, გიორგის, ანას და დათოს სხვადასხვა ფერის მანქანები ჰყავთ. ერთ-ერთი მათგანის მანქანა წითელია, ერთის – ლურჯი, ერთის – თეთრი, ხოლო ერთის – მწვანე. ცნობილია:

- გიორგი ანაზე უფროსია, თუმცა მაკაზე უმცროსია.
- დათო, რომელსაც მწვანე მანქანა ჰყავს, უფროსია გიორგიზე, რომელსაც თეთრი მანქანა ჰყავს.

*ქვემოთ მოცემულია მანქანების განაწილება მათი მფლობელების ასაკის მიხედვით (I – ყველაზე უფროსი). მათგან რომელი განაწილებაა **შესაძლებელი** პირობების მიხედვით?*

	I	II	III	IV
(ა)	მწვანე	ლურჯი	წითელი	თეთრი
(ბ)	ლურჯი	თეთრი	მწვანე	წითელი
(გ)	თეთრი	მწვანე	წითელი	ლურჯი
(დ)	ლურჯი	წითელი	თეთრი	მწვანე
(ე)	ლურჯი	მწვანე	თეთრი	წითელი

13. მოცემულია ორი დებულება:

I. არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც ყველა ადამიანი უყვარს.

II. ყველა ადამიანისთვის არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც ის უყვარს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **<u>მართებული</u>** მსჯელობა ამ დებულებათა შესახებ?*

(ა) შეუძლებელია, ორივე დებულება ჭეშმარიტი იყოს.

(ბ) შეუძლებელია, ორივე დებულება მცდარი იყოს.

(გ) შეუძლებელია, პირველი დებულება ჭეშმარიტი იყოს, ხოლო მეორე – მცდარი.

(დ) შეუძლებელია, პირველი დებულება მცდარი იყოს, ხოლო მეორე – ჭეშმარიტი.

(ე) ზემოთ მოცემული პასუხებიდან ყველა მართებულია.

14. შენობის ერთ-ერთ დერეფანში ორივე მხარეს, ერთმანეთის პირისპირ, სამ-სამი ოთახია, რომლებიც გადანომრილია 1-დან 6-მდე რიცხვებით საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით. ამ ოთახებში ორგანიზაციის სხვადასხვა დეპარტამენტია განლაგებული: კანცელარია, ფინანსური, პერსონალის მართვის, იურიდიული, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ანალიტიკური დეპარტამენტები (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით). მოცემულია:

- კანცელარია და პერსონალის მართვის დეპარტამენტი დერეფნის სხვადასხვა მხარესაა, ამასთან, ერთი დერეფნის დასაწყისშია, ხოლო მეორე – მის ბოლოს.
- ფინანსური და იურიდიული დეპარტამენტები დერეფნის ერთ მხარესაა.

1	**2**	**3**
6	**5**	**4**

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **<u>შესაძლებელი,</u>** თუ ეს პირობები სრულდება?*

(ა) ფინანსური და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტები დერეფნის ერთ მხარესაა.

(ბ) ფინანსური და ანალიტიკური დეპარტამენტები დერეფნის ერთ მხარესაა.

(გ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ანალიტიკური დეპარტამენტები დერეფნის სხვადასხვა მხარესაა.

(დ) ფინანსური და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების ოთახების ნომრები კენტი რიცხვებია.

(ე) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ანალიტიკური დეპარტამენტების ოთახების ნომრები ლუწი რიცხვებია.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i

კომპანია „Marks&Spencer“-ის ჩამოყალიბება მაიკლ მარკსის სახელს უკავშირდება. მე-19 საუკუნის ბოლოს ბრიტანეთში ბედის საძიებლად ჩამოსულ 25 წლის მაიკლს ბევრი არც ინგლისური ენის გაეგებოდა რამე და არც პროფესია ჰქონდა. ის ლიდსში დასახლდა და მალევე ისააკ დიუჰარტი გაიცნო – ადამიანი, რომელსაც სასაქონლო საწყობი ჰქონდა ლიდსში. ისინი შეთანხმდნენ, რომ მაიკლი შეიძენდა საქონელს ისააკისგან და შემდეგ გაყიდდა მას ლიდსის ახლომახლო სოფლებში.

ii

მაიკლმა გადაწყვიტა, ნებისმიერი საქონელი მხოლოდ ერთ პენად* გაეყიდა და დახლზე გამოაკრა აბრა, რომელსაც დიდი ასოებით დააწერა: „ნუ იკითხავთ ფასს, ის ერთი პენია“. ამ ენერგიული და ალღოიანი ახალგაზრდის არცთუ ისე ურისკო წამოწყება წარმატებული აღმოჩნდა. ყველა საქონლის ერთ პენად გაყიდვამ იმდენი კლიენტი მიიზიდა, რომ საქმიანობა, საერთო ჯამში, მომგებიანი გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საქონელზე მოგება ძალიან დაბალი ან სულაც ნულოვანი იყო. რამდენიმე წლის მანძილზე შესაძლებელი გახდა მსგავსი („ერთპენიანი“) დახლების გახსნა ლიდსის მიდამოებში.

iii

შემდეგი ნაბიჯი კომპანია „Marks&Spencer“-ის დაარსება იყო ტომ სპენსერთან ერთად, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელოვანი კავშირი ჰქონდა მწარმოებლებთან. ამ კავშირების წყალობით კომპანიამ საწყის ეტაპზე შეძლო საქონლის დაბალ ფასად შეძენა. შედეგად, სავაჭრო დახლები მოეწყო ინგლისის 9 ქალაქში. ბიზნესი ფართოვდებოდა და სულ უფრო მეტ დროს, ენერგიასა და თავდადებას მოითხოვდა. ტომ სპენსერმა გადაწყვიტა, სხვა, უფრო მშვიდი საქმისთვის მოეკიდა ხელი. მაიკლმა მარტო განაგრძო კომპანიის მართვა. მან ლიდსში გახსნა მაღაზია, რაც კომპანიის განვითარების გზაზე გარდატეხას წარმოადგენდა – საბაზრო დახლიდან პრესტიჟულ ცენტრალიზებულ სავაჭრო ობიექტად გარდაქმნას გულისხმობდა.

iv

მაიკლის გარდაცვალების შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელი მისი შვილი, საიმონი, გახდა. ის მალევე დარწმუნდა, რომ საცალო ვაჭრობაში წარმატების მისაღწევად ორი აუ-

---

*პენი – დიდი ბრიტანეთის წვრილი ფულის ერთეული.

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

ცილებელი პირობის – მომხმარებლისთვის მისაღები ფასისა და საქონლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გარდა, საჭირო იყო კლიენტისთვის უმაღლესი ხარისხის სერვისის შეთავაზება. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან კომპანიამ დაიწყო ქსელის მაღაზიებში კაფე-ბარების გახსნა, რომლებიც კლიენტებს იაფ და ხარისხიან მომსახურებას სთავაზობდნენ. მაღალი დონის სერვისის უზრუნველყოფა მხოლოდ პროფესიონალ და მოტივირებულ პერსონალს შეეძლო. შეიქმნა პერსონალის სერვისის სამსახური, რომლის ძირითადი დანიშნულება თანამშრომლებისათვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაწევა იყო, რაც სამუშაო პირობებით მათი კმაყოფილების ხარისხს გაზრდიდა. „M&S“ მიზნად ისახავდა, ყოფილიყო ეტალონი, რომლითაც შეფასდებოდა ყველა სხვა ორგანიზაცია საცალო ვაჭრობის სფეროში.

v მოგვიანებით საიმონ მარკსის ინიციატივით, მაღაზიათა ქსელში თვითმომსახურება დაინერგა. კლიენტს თვითონვე შეეძლო სპეციალურ დახლებზე გამოფენილი სასურველი საქონლის შერჩევა (თანამედროვე სუპერმარკეტების სტილი). შედეგად, პერსონალზე გაწეული დანახარჯების წილი შემცირდა, რაც საქონლის თვითღირებულების შემცირებას ნიშნავდა. ამ ინიციატივამ ბიძგი მისცა ორგანიზაციის წარმატებებს. კომპანია სულ უფრო იზრდებოდა, გაიხსნა მაღაზიები პარიზსა და ბრიუსელში, ასევე, ჰონგკონგში, რითაც ის საერთაშორისო მასშტაბის ორგანიზაციად იქცა. ამჟამად „M&S“ ტანსაცმლის, საკვები პროდუქტების, საოჯახო საქონლის საცალო გაყიდვაში ერთ-ერთი ლიდერია.

„M&S“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა საზოგა- vi
დოებრივ აქტივობაში. ის მხარს უჭერს საქველმოქმედო ორგანიზაციებს ჯანმრთელობის, განათლებისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის პროექტების დაფინანსებით. საზოგადოების განვითარებაში ამგვარი ინვესტიციები კომპანიას უკან უბრუნდება რეპუტაციის სახით, რაც ასე მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნესის გრძელვადიანი წარმატებისთვის.

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

15. ტექსტის I – II აბზაცების ძირითადი დანიშნულებაა:

(ა) გაგვაცნოს ერთ-ერთი ცნობილი კომპანიის შექმნის წინაისტორია.

(ბ) ხაზი გაუსვას თავდაუზოგავი შრომის მნიშვნელობას წარმატების მიღწევის გზაზე.

(გ) გააანალიზოს ერთ-ერთი ცნობილი კომპანიის დამაარსებლის ბიოგრაფიული ცნობები.

(დ) წარმოაჩინოს სხვა ქვეყანაში ბედის საძიებლად ჩასული ადამიანისათვის საჭირო თვისებები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

16. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზაა მოყვანილი ტექსტის II აბზაცში იმის დასადასტურებლად, რომ მაიკლ მარკსის წამოწყება მართლაც სარისკო იყო?

(ა) საქონელზე მოგება ძალზე დაბალი იყო.
(ბ) ზოგიერთ საქონელზე მოგება ნულოვანი იყო.
(გ) ნებისმიერი საქონელი მხოლოდ ერთ პენად იყიდებოდა.
(დ) ყველაფრის ერთ პენად გაყიდვამ უამრავი კლიენტი მიიზიდა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

17. კომპანია „Marks&Spencer“-ის დამაარსებელთა ქმედებების ურთიერთშედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზნესში წარმატების მისაღწევად:

(ა) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის ერთპიროვნულად მართვას.
(ბ) უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ მახასიათებლებს, ვიდრე საქმიან კონტაქტებს.
(გ) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მწარმოებლებთან კომუნიკაციის სწორად წარმართვას.
(დ) უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საჭირო პირებთან კავშირებს, ვიდრე პიროვნულ თვისებებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

18. IV აბზაცში კომპანიის წარმატებული მუშაობის სხვადასხვა პირობაა წარმოდგენილი. მათგან რომელია ურთიერთდამოკიდებული?

(ა) გასაყიდი პროდუქციის მაღალი ხარისხი და პერსონალის პროფესიონალიზმი.
(ბ) მომხმარებლისთვის საქონლის მისაღები ფასი და კლიენტების ხარისხიანი მომსახურება.
(გ) სამუშაო პირობებით პერსონალის კმაყოფილების ხარისხის გაზრდა და მაღაზიათა ქსელში კაფე-ბარების გახსნა.
(დ) კლიენტისთვის მაღალი დონის სერვისის შეთავაზება და პერსონალისთვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაწევა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

19. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ დებულებაშია სრულად გადმოცემული ტექსტის ბოლო აბზაცის ძირითადი შინაარსი?

(ა) საქველმოქმედო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით კომპანია ზრუნავს არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ, აგრეთვე, საკუთარ წარმატებულ მომავალზე.

(ბ) საზოგადოების განვითარებაში კაპიტალის დაბანდებით კომპანიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

(გ) საზოგადოებაში საკუთარი ორგანიზაციის მიმართ დადებითი აზრის შექმნა ბიზნესის გრძელვადიანი წარმატების საწინდარია.

(დ) საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში კაპიტალის დაბანდება კომპანიის ფინანსური კეთილდღეობის საწინდარია.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

20. ტექსტის ავტორის მთავარი მიზანია, ერთ-ერთი ცნობილი კომპანიის მაგალითზე:

(ა) დაგვანახოს, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ორგანიზაციის ეფექტური მართვა.
(ბ) გამოკვეთოს ბიზნესის ეფექტური წარმოებისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორი.
(გ) თვალი გაადევნოს ოჯახური ბიზნესის წარმოებაში თაობათა მიდგომებისა და პრიორიტეტების ცვლას.
(დ) დაასაბუთოს, რომ წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია მომხმარებლებისა და თანამშრომლების ინტერესების თანხვედრა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

21. გზა : საშუალება

(ა) ჯებირი : ნაპირის გამაგრება

(ბ) სერპანტინი : მთის ბილიკები

(გ) ლიანდაგი : რკინიგზის ხაზი

(დ) ჩიხი : გამოუვალი მდგომარეობა

(ე) მოსახვევი : შეცვლილი მიმართულება

22. ყანა : სარეველა

(ა) ორგანიზმი : ვირუსი

(ბ) იმუნიტეტი : ვაქცინა

(გ) ინფექცია : ბაქტერია

(დ) დაავადება : სიმპტომი

(ე) ინიექცია : მედიკამენტი

23. ხორუმი : რიტმი

(ა) ეტიუდი : ტექნიკა

(ბ) ჯაზი : ფესტივალი

(გ) ოპერა : უვერტიურა

(დ) იავნანა : ძილისპირული

(ე) მრავალჟამიერი : პოლიფონია

24. წიგნის სარჩევი : მენიუ

(ა) რეპერტუარი : ასორტიმენტი

(ბ) ინსტრუქცია : რეცეპტი

(გ) რაციონი : დიეტა

(დ) პორცია : ულუფა

(ე) ანკეტა : ცნობარი

25. საზღვარი : სადემარკაციო ხაზი

(ა) ფანჯარა : რაფა

(ბ) ტიხარი : შირმა

(გ) აივანი : რიკულები

(დ) ციხესიმაგრე : ალყა

(ე) სვეტი : ჩუქურთმები

26. მეეტლე : მეურმე

(ა) ფოტოგრაფი : ფოტორეპორტიორი

(ბ) მუსიკოსი : კომპოზიტორი

(გ) რეჟისორი : დირიჟორი

(დ) რედაქტორი : კორექტორი

(ე) ინჟინერი : არქიტექტორი

27. აკადემიური ხარისხი : კვალიფიკაცია

(ა) რანგი : სტატუსი

(ბ) ამნისტია : სასჯელი

(გ) ცენზურა : რეცენზია

(დ) ამპლუა : თავისებურება

(ე) ალიბი : უდანაშაულობა

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

28. ერი ადამიანთა კულტურული ერთობაა. მასში გადამწყვეტი ადგილი სოციალურ კომუნიკაციას უკავია, ხოლო სოციალური კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია ენა. ------ , რომ ეროვნულ იდენტობაში ერის მშობლიური ენა გადამწყვეტ როლს ------ . ეროვნული იდენტობა ------ , მაგალითად, ებრაელებში, შოტლანდიელებში, ირლანდიელებში, ------ ლაპარაკობს.

(ა) შესაბამისად, ბუნებრივია / ასრულებს / უაღრესად ძლიერია / თუმცა, მათი უმრავლესობა მშობლიურ ენაზე არ

(ბ) შესაბამისად, ბუნებრივია / ასრულებს / არ არის ძლიერი / რადგან მათი უმრავლესობა მშობლიურ ენაზე

(გ) თუმცა, საგულისხმოა / არ ასრულებს / არ არის ძლიერი / რადგან მათი უმრავლესობა მშობლიურ ენაზე არ

(დ) თუმცა, საგულისხმოა / არ ასრულებს / უაღრესად ძლიერია / მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა მშობლიურ ენაზე არ

29. რენტგენის გამოსხივების აღმოჩენის დროს ------ , რომ მას მედიცინაში გამოიყენებდნენ; მის აღმოჩენამდე ------ ინტერესმა მიგვიყვანა. ამგვარი შემთხვევები შეგვახსენებს, რომ მეცნიერული ------ შევაფასოთ იმ უშუალო სარგებლობის მიხედვით, რომელსაც მისგან მოველით. კვლევა უნდა ტარდებოდეს ------ , რომ ახალი აღმოჩენა კაცობრიობას სარგებლობას მოუტანს.

(ა) არავინ ფიქრობდა / წმინდა მეცნიერულმა, არაპრაგმატულმა / შრომა არ უნდა / მეცნიერების თავისთავადი ღირებულებისთვის, შემდეგ კი ყოველთვის არსებობს შანსი

(ბ) გადამწყვეტი ფაქტორი იყო მეცნიერთა რწმენა / პრაგმატულმა / შრომა არ უნდა / იმის გათვალისწინებით

(გ) არავინ ფიქრობდა / პრაგმატულმა / შრომა, უწინარეს ყოვლისა, უნდა / მეცნიერების თავისთავადი ღირებულებისთვის, შემდეგ კი ყოველთვის არსებობს შანსი

(დ) გადამწყვეტი ფაქტორი იყო მეცნიერთა რწმენა / წმინდა მეცნიერულმა, არაპრაგმატულმა / შრომა, უწინარეს ყოვლისა, უნდა / იმის გათვალისწინებით

30. ------ საზოგადოების წევრად მიღება კონკრეტული მიღწევის სანაცვლოდ მოპოვებულ ჯილდოდ იქცევა, ადამიანი ------ დაიჯერებს, რომ საზოგადოება მას ------ „ისეთს, როგორიც არის“.

(ა) ბუნებრივია, როდესაც / ვერ / მიიღებს

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ / მაინც / ვერ მიიღებს

(გ) ბუნებრივია, როდესაც / ადვილად / მიიღებს

(დ) მიუხედავად იმისა, რომ / ადვილად ვერ / მიიღებს

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

31. ცნობილია, რომ ენოტები ჭამის წინ საჭმელს „რეცხავენ“: ზოოპარკში მცხოვრებ ენოტს იქვე არსებულ გუბურასთან მიაქვს ხოლმე საჭმელი და ალბობს, სანამ შეჭამს; ხშირად უნახავთ ბუნებაში მცხოვრები ენოტიც, რომელიც მდინარეში აჭყაპუნებდა წინა თათებს, შემდეგ იქიდან საჭმელი ამოჰქონდა, არასასურველ ნაწილებს შემოაცლიდა და ჭამდა. მკვლევართა ნაწილმა ივარაუდა, რომ **ენოტის სანერწყვე ჯირკვლები საკმარის სითხეს არ გამოყოფს და ამიტომ ენოტს ჭამამდე საკვების წყალში დალბობა ესაჭიროება.**

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება <u>**აყენებს ეჭვქვეშ**</u> აღნიშნულ ვარაუდს?*

(ა) ენოტი იკვებება როგორც ცხოველური, ისე მცენარეული საკვებით. თუმცა, წელიწადის სხვადასხვა დროს მის რაციონში სჭარბობს ერთ-ერთი ტიპის საკვები.

(ბ) ენოტები ყოველთვის „რეცხავენ“ საკვებს, რომელიც ხმელეთზე მოიპოვეს, ხოლო წყალში მოპოვებულ საკვებს ხან „რეცხავენ“, ხან კი – არა.

(გ) როგორც ზოოპარკში, ისე ბუნებრივ გარემოში მცხოვრები ენოტები ყოველთვის „რეცხავენ“ საკვებს, რომელსაც ხმელეთზე მოიპოვებენ.

(დ) ენოტის შეხებითი შეგრძნების უნარი თათების დასველებისას ძლიერდება, ეს კი ენოტს საშუალებას აძლევს, მოპოვებული საკვების საჭმელად ვარგისი ნაწილები გამოარჩიოს.

(ე) ენოტები უფრო დიდი ხნის განმავლობაში „რეცხავენ“ საკვებს, რომელიც ხმელეთზე მოიპოვეს, ვიდრე წყალში მოპოვებულ საკვებს.

32. მოცემულია დებულებები:

I. ყველა ჩემს მეგობარს უყვარს მუსიკა.

II. ამ კლუბის წევრები მხოლოდ მუსიკის მოყვარულები არიან.

III. ამ კლუბის წევრებიდან ზოგიერთი ჩემი მეგობარია.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს **სწორად** ამ დებულებებს შორის მიმართებას?*

(ა) I და II დებულებებიდან გამომდინარეობს III.

(ბ) I და III დებულებებიდან გამომდინარეობს II.

(გ) II და III დებულებებიდან გამომდინარეობს I.

(დ) I გამომდინარეობს როგორც II, ისე III დებულებიდან დამოუკიდებლად.

(ე) არც ერთი მათგანი არ გამომდინარეობს დანარჩენი ორიდან.

33. მოცემულია დებულება:

- მხოლოდ დიდ ქალაქებშია მიზანშეწონილი მეტროს არსებობა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა ავიღოთ მეორე წანამძღვრად, რათა შევძლოთ, დავასკვნათ: ***„გადატვირთული საავტომობილო მოძრაობა მხოლოდ დიდ ქალაქებშია“****?*

(ა) ყველგან, სადაც გადატვირთულია საავტომობილო მოძრაობა, მიზანშეწონილია მეტროს არსებობა.

(ბ) მეტროს არსებობა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ ქალაქებში, რომლებშიც გადატვირთულია საავტომობილო მოძრაობა.

(გ) სადაც საავტომობილო მოძრაობა გადატვირთული არ არის, იქ მეტროს არსებობა მიზანშეწონილი არ არის.

(დ) მეტროს არსებობა მიზანშეწონილი არ არის ქალაქებში, სადაც საავტომობილო მოძრაობა გადატვირთულია.

(ე) ყველა დიდ ქალაქში მიზანშეწონილია მეტროს არსებობა.

34. მოცემულია დებულებები:

I. ყველა მინდვრის ყვავილი ერთწლიანია.

II. ზოგიერთი მინდვრის ყვავილი გაზაფხულზე იწყებს ყვავილობას.

III. ყველა მინდვრის ყვავილი მგრძნობიარეა ტემპერატურის ცვლილების მიმართ.

მოცემული დებულებებიდან რომლები უნდა ავიღოთ წანამძღვრებად, რათა შევძლოთ, დავასკვნათ: „თუ ერთწლიანი მცენარე გაზაფხულზე იწყებს ყვავილობას და მგრძნობიარეა ტემპერატურის ცვლილების მიმართ, მაშინ ის მინდვრის ყვავილია“?

(ა) საკმარისია მხოლოდ I და II.

(ბ) საკმარისია მხოლოდ II და III.

(გ) საკმარისია მხოლოდ I და III.

(დ) აუცილებელია სამივე ერთად.

(ე) საკმარისი არ არის არც სამივე ერთად.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ინოვატორი ქვის იარაღის შემოქმედი კი არ იყო, არამედ სიმბოლური გამოსახულების პირველი ავტორი. როდის დაიბადა ხელოვნება? ზოგი მეცნიერი 500 000 წლის წინ დამზადებულ სიმეტრიულ ცულებს მიიჩნევს მხატვრული აზროვნების გამოხატულებად. თუმცა, საგნების წმინდა სიმბოლური თუ დეკორაციული დანიშნულებით შექმნა ბევრად უფრო გვიანდელი მოვლენაა.

ii 2000 წელს **ბლომბოსში** (სამხრეთ აფრიკა) ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოჩნდა 75 000 წლის წინანდელი წითელი ჟანგმიწის (ფერადი მინერალი) გრავირებული ნატეხი. მის ზედაპირზე ფაქიზად არის ამოჭრილი ურთიერთგადამკვეთი პარალელური ხაზები. რა უნდა იყოს ის? ხელმოწერა? გამოთვლები? პირველი სავაჭრო სია? მცირე ხნის შემდეგ 13 მსგავსი ნატეხი იპოვეს. რაც უნდა ყოფილიყო ამ თავსატეხის დანიშნულება, ის 35 000 წლით წინ უსწრებდა იმ დროისთვის ცნობილ სიმბოლური აზროვნების არსებობის ნებისმიერ სხვა მტკიცებულებას. მოხდა ყველაზე მთავარი! შეიქმნა მარტივი ფორმა, რომელიც გამოხატავს რაღაც სხვას. უფრო მეტიც, ერთი გონების მიერ მოფიქრებული სიმბოლოს შინაარსი შეიძლებოდა სხვა გონებისთვისაც მისაწვდომი ყოფილიყო. როგორც ჩანს, ადამიანის მიერ სიმბოლოთა გამოსახვამ ბიძგი მისცა ხელოვნების წარმოშობას.

iii მალე ბლომბოსში იპოვეს ერთი საინტერესო ნიჟარა – ჩვენთვის ცნობილი უძველესი კონტეინერი: როგორც ჩანს, გამოქვაბულის ბინადრები უკვე 100 000 წლის წინაც მეთოდურად ფქვავდნენ ჟანგმიწას და სხვა ინგრედიენტებთან შერევით საღებავს იღებდნენ, შემდეგ კი აფრიკული აბალონის (მოლუსკი) ნიჟარაში ინახავდნენ. შესაძლოა, ისინი საღებავებით იხატავდნენ სახეს, სხეულს, იარაღსა თუ ტანსაცმელს. ბლომბოსში აღმოჩნდა, აგრეთვე, 70 000 წლის წინანდელი ნიჟარის მძივები და სირაქლემას კვერცხის გრავირებული ნაჭუჭი ურთიერთგადამკვეთი ნაჭდე-

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ვებით. ამგვარი არტეფაქტები ადამიანის თვითგამოხატვის პირველი მტკიცებულებებია. ეს არტეფაქტები – აფრიკული სიმბოლოების ადრეული „აფეთქებები“– მხოლოდ რამდენიმე ათასი წელი არსებობს გარკვეულ არეალში და შემდეგ ქრება.

iv მხოლოდ 43 000 წლის წინა პერიოდიდან მკვიდრდება ხელოვნება აფრიკასა და ევრაზიაში. თანდათან ჩნდება შედარებით დახვეწილი იარაღები, სარიტუალო ნივთები, ცხოველების ფიგურები და ადამიანის გამოსახულებებიც კი. აფრიკის უძველეს ბინადართა მიერ შექმნილ ქანდაკებას ერთი ნიშანი გამოარჩევს – გამოსახოს ადამიანის სხეულის ნაწილები სიმბოლური ფორმებით. მაგალითად, აფრიკული სკულპტურის თვალი არ არის რეალისტური თვალი. ზოგჯერ ის არის მხოლოდ ნაპრალი, ზოგჯერ ნიჟარა, ფოთოლი ან რაიმე სხვა. აფრიკელმა ეს „ენა“ იცის. მას არ სჭირდება ანატომიისა თუ ადამიანის სხეულის პროპორციების ცოდნა. ის ამ ცოდნის გარეშეც პოულობს საშუალებებს, გადმოსცეს თავისი სათქმელი.

აფრიკული ხელოვნება წარმოუდგენლად მდიდარია v
პლასტიკური სიმბოლოებით – გეომეტრიული ორნამენტებით. გეომეტრიული ფიგურები, ძირითადად, კონკრეტული საგნების, ხშირად ცხოველების, სტილიზებული გამოსახულებებია. ტალღისებური ხაზი, რომელსაც ორივე მხრიდან წერტილები მიჰყვება, გველს გამოხატავს, რომბისმაგვარი ფიგურა დახაზული კუთხეებით – თევზია, კონცენტრული წრეები კი – ლოკოკინა. ამ ტიპის სიმბოლიკა ზოგჯერ ინტუიციურია, მაგრამ ყოველთვის – შემოქმედებითი.

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

35. სიმეტრიული ცულების შესახებ მოცემული დებულებებიდან რომელია მართებული?

(ა) ამ სიმეტრიული ცულების შემოქმედი კი არ იყო დიდი ინოვატორი, არამედ სიმბოლური გამოსახულების პირველი ავტორი.

(ბ) 500 000 წლის წინ დაიბადა ხელოვნება, როდესაც შეიქმნა ქვის იარაღები, კერძოდ, ეს სიმეტრიული ცულები.

(გ) რომც იყოს მხატვრული აზროვნების გამოვლინება, სიმეტრიული ცულები წმინდა სიმბოლური თუ დეკორაციული დანიშნულებით არ შექმნილა.

(დ) მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნება ჯერ არ იყო „დაბადებული“, ეს სიმეტრიული ცულები მხატვრული აზროვნების დახვეწილი ნიმუშებია.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

36. ბლომბოსში აღმოჩენილი 75 000 წლის წინანდელი ჟანგმიწის გრავირებული ნატეხი:

(ა) სიმბოლური აზროვნების გამოვლინებაა, რადგან ეს გამოსახულება 35 000 წლით წინ უსწრებდა მისი აღმოჩენის დროისთვის ცნობილ სიმბოლური აზროვნების არსებობის ნებისმიერ სხვა მტკიცებულებას.

(ბ) არ არის სიმბოლური აზროვნების გამოვლინება, რადგან ეს ურთიერთგადამკვეთი ხაზები იყო ხელმოწერა, გამოთვლები ან სავაჭრო სია, ხოლო სიმბოლოს გამოსახვა აუცილებლად გულისხმობს ხელოვნების არსებობას.

(გ) სიმბოლური აზროვნების გამოვლინებაა, რადგან ამ ნატეხზე ამოკვეთილი ხაზები რაღაცას გამოხატავს და იმ დროს ავტორის გარდა ალბათ სხვასაც შეეძლო ამ პირობითი ნიშნების მნიშვნელობისა და დანიშნულების გაგება.

(დ) არ არის სიმბოლური აზროვნების გამოვლინება, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ეს პარალელური ხაზები გამოსახულების მარტივ ფორმას წარმოადგენს, ის თავსატეხი უნდა ყოფილიყო მისი შექმნის პერიოდშიც, ისევე, როგორც დღეს არის ჩვენთვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

37. ქვემოთ ჩამოთვლილი არქეოლოგიური აღმოჩენებიდან რომლის დახასიათება **<u>არ არის</u>** მართებული?

(ა) სირაქლემას კვერცხის ნაჭუჭზე საგანგებოდ არის ამოკვეთილი ურთიერთგადამკვეთი ხაზები; ესთეტიკური თვალსაზრისით შედევრი არ არის, მაგრამ „გრავიორის“ სამყაროსა და „მხატვრულ“ გემოვნებაზე მაინც მეტყველებს.

(ბ) აფრიკული აბალონის ნიჟარაში შენახული საღებავებით სახეს და ტანს თავისებურად იხატავდნენ ადამიანები, სხვადასხვაგვარად აფორმებდნენ იარაღს.

(გ) ნიჟარის მძივის შექმნაშიც (მძივისთვის ნიჟარების შერჩევასა და ერთმანეთთან შეხამებაში) და გამოყენებაშიც ადამიანის ინდივიდუალობა ვლინდება.

(დ) ბლომბოსის ჟანგმიწის ნატეხი ფერადი მინერალია, ბუნებრივი ნაერთი; მისთვის ადამიანს სახე არ შეუცვლია, ის ასეთი არსებობს ბუნებაში

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

38. ტექსტში აფრიკული ქანდაკების ეპიზოდის ძირითადი ფუნქციაა, გაგვაცნოს ამ ქანდაკების თავისებურება:

(ა) ადამიანის სხეულის ნაწილები მიამსგავსოს ბუნებრივ ფორმებს: ფოთოლს, ნიჟარას...

(ბ) სიმბოლური ფორმებით, სპეციფიკური „ენით“ გადმოსცეს სათქმელი.

(გ) არ გაითვალისწინოს ანატომიის კანონები, დაარღვიოს ადამიანის სხეულის პროპორციები.

(დ) გეომეტრიული ორნამენტებით გამოსახოს რეალისტური ფორმები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

39. ცნობილია, რომ აფრიკაში პირველყოფილი ადამიანის მიერ დამზადებულ ქვის ცულს თავდაპირველად არ ჰქონდა ტარი. მოგვიანებით გაჩნდა ტარი, რომელიც მეტ-ნაკლებად მყარად იყო ცულზე თასმით (წნელით) მიმაგრებული. მას შემდეგ, რაც ადამიანმა ისწავლა ამ მისაბმელის გარეშე ცულისთვის ტარის მყარად დამაგრება, თასმას აღარ იყენებდა, მაგრამ მის ადგილას გაჩნდა მისივე გამოსახულება – ურთიერთგადამკვეთი პარალელური ხაზები – უკვე სამკაულის ფუნქციით. სხვა საგნებზეც მსგავსადვე უნდა წარმოქმნილიყო სხვადასხვა გამოსახულება: წრეები, წერტილები, ზიგზაგები, სამკუთხედები...

ეს ინფორმაცია:

(ა) იმაზე მიგვითითებს, რომ 500 000 წლის წინ დამზადებულ სიმეტრიულ ცულებს პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად დეკორაციული ფუნქციაც ჰქონდა.

(ბ) შეიძლება დავუკავშიროთ აფრიკულ ქანდაკებას – როგორც ამ ქანდაკებაზე გაჩნდა თვალის ნაცვლად ნაპრალი ან ნიჟარა, ცულზეც სწორედ ასე გაჩნდა წნელის გამოსახულება.

(გ) გაგვაცნობს აფრიკულ ნაკეთობებზე სიმბოლური ფორმების, სტილიზებული გამოსახულებების წარმოქმნის ერთ სავარაუდო გზას.

(დ) აზუსტებს მსჯელობას ძველი აფრიკელის უნარზე – სპეციალური ცოდნის გარეშეც შექმნას დახვეწილი იარაღები და გეომეტრიული ორნამენტებით შეამკოს ისინი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

40. ტექსტის ბოლო დასკვნა – „ამ ტიპის სიმბოლიკა ზოგჯერ ინტუიციურია, მაგრამ ყოველთვის შემოქმედებითი“ – ნიშნავს, რომ:

(ა) აფრიკელი სიმბოლოს ქმნის ზოგჯერ თავისთვის ნაცნობი ცხოველებისა თუ მცენარეების ფორმების შთაგონებით და ხშირად გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სიმბოლოს.

(ბ) აფრიკელი ზოგჯერ გაუცნობიერებლად იმეორებს ბუნებაში ნანახ, მისთვის ახლობელ ფორმებს, თუმცა, როგორც წესი, მასში ორიგინალურ, სიმბოლურ მნიშვნელობას დებს.

(გ) აფრიკელი ყოველთვის ახერხებს კონკრეტული საგნების, ცხოველებისა თუ ადამიანების გამოსახვისას სტილიზაციას და ახალი რაკურსით გვიჩვენებს თავის სამყაროს.

(დ) აფრიკელი ყოველთვის ცდილობს, ბუნებაში მისთვის ახლობელ ობიექტებს მოუძებნოს შესაბამისი გეომეტრიული ფორმები და ამ გზით გადმოგვცეს თავისი სათქმელი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40